პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
20 ოქტომბერი
1954 წელი
№ 84 (786)
ფასი 20 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

უკეთ მოვაწყოთ სპორტის პროპაგანდის საქმე

„ფიზკულტურელის საკავშირო დღისათვის ჩვენი სექცია გაცხოველებით ემზადებოდა, განსაკუთრებით სამწყობრო საქმე გვაინტერესებდა. თვითეული ჩვენგანი ცდილობდა ფეხშეწყობით, მტკიცე ნაბიჯით ევლო, ორკესტრი არ გვყავდა, ამიტომ სექციის ხელმძღვანელმა წინადადება მოგვცა, რომ გვემღერა. მაგრამ გამოვიდა აქედან რამე? არა. არ ვიცოდით არც ერთი ფიზკულტურული სიმღერა რომელიც სამწყობრო მეცადინეობისათვის გამოდგებოდა, რადგან ასეთი... არ არსებობს. რა კარგს იზამდნენ ჩვენი კომპოზიტორები, რომ დაწერდნენ მარშებს, მხიარულ სიმღერებს ფიზკულტურელებისათვის“, — გვწერენ ქუთაისელი მოსწავლეები ხ. ნიკურაძე და ვ. არჯევანიშვილი. მოსწავლეების შენიშვნა სწორია. საქართველოს კომპოზიტორებს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ვალი აქვთ. ისინი მათგან რამდენიმე წელია მოელიან სიმღერებს, მაგრამ ამაოდ. კომპოზიტორები დიდი ფორმის ნაწარმოებების შექმნით არიან გატაცებულნი.

ფიზკულტურელები და სპორტსმენები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ არა მარტო კომპოზიტორებისა, არამედ პოეტების, დრამატურგების, მხატვრების, მოქანდაკეების მიმართაც, საერთოდ ყველას მიმართ, რომლებსაც თავიანთი ნიჭით და უნარით დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში.

ამას წინათ წიგნის მაღაზიებში პლაკატები გამოაკრეს, რომლებიც გვატყობინებდნენ, რომ ფიზკულტურულ-სპორტული ლიტერატურის შეძენა შეიძლება წიგნის ამა და ამ მაღაზიაში. მივედით აღნიშნულ მაღაზიებში, მოვითხოვეთ წიგნები, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა სამიოდე წიგნი მოგვაწოდეს და ისინიც ნათარგმნი. ორიგინალური კი არც ერთი. ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს თუ რა ღარიბია ჩვენი ლიტერატურა. მწვრთნელები, ფიზკულტურელები, ფიზკულტურის მასწავლებლები რაიონებიდან იწერებიან, რომ მათ ძალიან სჭირდებათ თამაშების წესები მშობლიურ ენაზე, დახმარება მეთოდურ საკითხებში და სხვ. მაგრამ რა გავუგზავნოთ, როცა ლიტერატურა არ არის. ჯერ დამუშავების პროცესშია, რამდენიმე ბროშურა კალათბურთზე, ფრენბურთზე, ქართული და კლასიკური ჭიდაობის წესებზე, მაგრამ მათი გამოშვება დაუშვებლად ჭიანურდება.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე სასწავლო პლაკატს, რომელიც „კოლმეურნემ“ გამოუშვა, პლაკატი საერთოდ არა გვაქვს. ეს მაშინ, როდესაც პლაკატი თვალსაჩინო აგიტაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ყველგან უნდა იყოს გამოკრული ლამაზად გაფორმებული სასწავლო-მეთოდური ან მომწოდებელი პლაკატი. იგი არა მარტო სტადიონებს და სპორტსმენებს, არამედ სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, დაწესებულებებისა და წარმოებათა კედლებსაც უნდა ამშვენებდეს.

ქართველი მწერლების კალამმა ჯერ არ მოიცალა იმისათვის, რომ რომანებში, მხატვრულ ნარკვევებში, ლექსებში, პოემებში აესახათ საბჭოთა სპორტსმენების ცხოვრება და მიღწევები.

პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მეტად მაღალმხატვრული ლექსი მიუძღვნა საქართველოს მოჭიდავეებს. კარგი იქნება სხვებიც მიბაძავდნენ და შექმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებს, ეს მათს შემოქმედებით არესაც გააფართოებს და საინტერესოს გახდის.

საქართველოს არც ერთ თეატრში ჯერ არ დადგმულა სპორტული ცხოვრების ამსახველი პიესა. უფრო მეტიც — დღემდე დაწერილ პიესებში საბჭოთა სპორტსმენიც კი არაა გამოყვანილი. გასაგებია. იმისათვის, რომ სპორტული ცხოვრება პიესაში ასახო საჭიროა თემის საფუძვლიანი შესწავლა, დაძაბული მუშაობა, რასაც, ალბათ, ერიდებიან ჩვენი მწერლები. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა ამასწინათ დადგა კ. მახარაძის „ორი რეკორდი“, რომელიც სპორტულ თემაზეა აგებული. რასაკვირველია, პიესას აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, მაგრამ იგი მაინც დიდი ნაბიჯია იმდენად, რამდენადაც სცენაზე მოქმედებენ სპორტსმენები, მაყურებელი სპორტსმენებს ხედავს არა მარტო სტადიონზე, არამედ საზოგადოებაში, ამხანაგებთან ურთიერთობაში.

საქართველოს კინომ ერთ დროს დაიწყო კინონარკვევების გადაღება რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებზე. სპორტის მოყვარულებმა ეკრანზე იხილეს გემოვნებით გადაღებული ნარკვევი „ბორის პაიჭაძე“. სტუდიის საწარმოო გეგმით კიდევ მრავალი ნარკვევის გადაღება იყო გათვალისწინებული, მაგრამ მაყურებელს ისინი ჯერ არ უნახავს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები ნაკლებად ან სრულებით არ მონაწილეობენ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში. ეს მდგომარეობა წლობით გრძელდება. ამის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა თათბირებზე, მაგრამ მაინც არაფერი კეთდება.

იმისათვის, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის საერთო აღმავლობას მივაღწიოთ, ფართოდ უნდა გავშალოთ მისი პროპაგანდა. უნარიანად მოწყობილი პროპაგანდა კი საქმის გამარჯვების მნიშვნელოვანი საწინდარია.

ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს კომპოზიტორების, მწერლების, მხატვრების დახმარება სჭირიათ. მათი მხატვრული სიტყვა, გულში ჩამწვდომი მელოდია, გემოვნებითა და ცოდნით შესრულებული მხატვრული ტილო და ქანდაკება ახალი გამარჯვებისათვის აღაფრთოვანებს სპორტსმენებს, უფრო გაზრდის მათ რიგებს.

საბჭოთა ფეხბურთელების გამგზავრება საზღვარგარეთ

18 ოქტომბერს მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. მოსკოვის დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგურ შეჯიბრებებში საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდებთან. დინამოელები ეწვევიან აგრეთვე შვეიცარიას, სადაც შეხვდებიან ადგილობრივ ფეხბურთელებს.

უახლოეს დღეებში მთელი რიგი ქვეყნების ფეხბურთელებთან ამხანაგურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ მიდიან საბჭოთა ფეხბურთელების სხვა გუნდები. მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი მონაწილეობას მიიღებს ამხანაგურ შეხვედრებში ინგლისისა და ბელგიის ფეხბურთელებთან. ლიბანში გაემგზავრება მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი. კიევის დინამოელები გაემგზავრებიან პოლონეთში, ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდი — ჩეხოსლოვაკიაში.

ნოემბერში ალბანეთში გაემგზავრება ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელთა გუნდი.

ფინეთის ყურეში

12 ოქტომბერს ლენინგრადში დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის იახტსმენთა საერთაშორისო შეხვედრა. შეჯიბრების პროგრამაში იყო „5,5-მეტრიანი“, „დრაკონისა“ და „ვარსკვლავისებური“ იახტებით რბოლა ოლიმპიურ დისტანციებზე.

საერთაშორისო შეჯიბრების პირობების თანახმად სპორტსმენებს სტარტი მიეცათ ღია ზღვაში, ფინეთის ყურეში.

„5,5-მეტრიანი“ იახტებით შეჯიბრებაში ფინიშის ხაზი პირველად გადაჭრეს ფინელებმა ჰოლმმ და ჩეკლუნდმა. მესამე ადგილზე გამოვიდა ალექსანდროვი (სსრკ). დაძაბული ბრძოლა გაიმართა „დრაკონით“ რბოლაში. პირველი ადგილი მოიპოვა ფაბრიციუსმა (ფინეთი). მას მოყვნენ საბჭოთა სპორტსმენები პოპელი და კოვრიგინი. „ვარსკვლავისებური“ კლასის იახტებით ორი პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა პინეგინმა და ნაუმოვმა.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრების მეორე დღე. „5,5-მეტრიანი“ იახტებით რბოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა კოროველსკიმ. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გორლოვმა (სსრკ) და ჰოლმმა (ფინეთი).

„დრაკონის“ კლასის იახტებში კვლავ ფაბრიციუსმა გაიმარჯვა. მან შვიდი წუთით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ კოვრიგინს (სსრკ).

„ვარსკვლავისებური“ კლასის იახტებში პირველი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პინეგინი.

• • •

სურათზე: „დრაკონები“ დისტანციაზე.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

პოლონეთი

პოლონეთში ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად ჩასული არიან საბჭოთა კავშირის ჰოკეისტები. რამდენიმე დღის წინ გაიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების პირველი შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა 7:1. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა კვლავ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით (10:5) აღინიშნა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდების მესამე შეხვედრა, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 5:1.

ინგლისი

საბჭოთა კავშირის მძლეოსნები ლონდონში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ 16 ოქტომბერს მანჩესტერში შეხვდნენ ინგლისის ჩრდილოეთის საგრაფოების გაერთიანებულ გუნდს, რომელშიც ჩართული იყო აგრეთვე ლონდონის რამდენიმე უძლიერესი მძლეოსანი. უაიტ-სიტის სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული სსრ კავშირისა და ინგლისის სახელმწიფო დროშებით.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცა ძვირფასი საჩუქარი მანჩესტერის ერთერთი სპორტის მოყვარულისაგან, რომლის სურვილითაც გვარი არ იქნა დასახელებული.

შეჯიბრება დაიწყო ვაჟთა და ქალთა რბენით 100 იარდზე. ფინიშთან პირველი იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები კონოვალოვი (9,9) და კრეპკინა (11,1). საბჭოთა მძლეოსანმა კრივონოსოვმა გაიმარჯვა უროს ტყორცნაში შედეგით 56 მ. 58 სმ.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა თარჯრბენი 120 იარდზე, სადაც მოსკოველმა ბულანჩიკმა აჩვენა 14,6. ინგლისელი ჰილდრეტი გამოვიდა მეორე ადგილზე. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვინოგრადოვას, მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს ინგლისელებმა ჰოპკინსმა და უაიტჰედმა.

რბენა 220 იარდზე ვაჟთა შორის დამთავრდა იგნატიევის (მოსკოვი) გამარჯვებით — 21,9. ქალთა შორის ამ დისტანციაზე გაიმარჯვა ინგლისელმა ჰემპტონმა, რომელმაც უკანასკნელ მეტრებზე გაუსწრო მოსკოველ მძლეოსნებს იტკინას და ულიტკინას. მისი შედეგია — 24,9. ინგლისელთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ვაჟთა რბენა 880 იარდზე — ელეტმა მანძილი გაირბინა 1:57,6 წუთში. მოსკოველი აგეევი გამოვიდა მეორე ადგილზე.

ჭოკით ხტომაში გაიმარჯვა ინგლისელმა ელიოტმა, რომელსაც მოსკოველი დენისენკო ოდნავ ჩამორჩა. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ერთიდაიგივე სიმაღლე დაძლიეს ინგლისელმა ტაილერმა და მოსკოველებმა კოსოვამ და ჩუდინამ, მაგრამ ტაილერმა მის გადალახვაზე ნაკლები ცდა დახარჯა, ამიტომ მას მიეკუთვნა პირველი ადგილი.

ბირთვის კვრაში ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა ზიბინამ (მოსკოვი), ხოლო ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა სევიჯს (ინგლისი). საბჭოთა სპორტსმენმა მატვეევმა მოიგო ბადროს ტყორცნა ვაჟთათვის.

შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის მოიგო ვოლკოვმა (მოსკოვი), რომელმაც აჩვენა პლეტსა და პაინდერზე უკეთესი შედეგი.

მსოფლიო რეკორდსმენმა ოტკალენკომ მნიშვნელოვნად გაუსწრო ინგლისელ მძლეოსან ქალებს ლეზერს და ოლივერს და პირველი ადგილი დაიკავა 1 მილზე რბენაში. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ინგლისელმა დიზლიმ. მეორე ადგილზეა მოსკოველი ბაგრეევი.

სირია

სირიაში სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა პირველი შეხვედრა ჩაატარა დამასკოში კლუბ „ალ-ფიჩიანის“ გუნდთან. თამაში საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათი გამარჯვებით — 74:42.

მაყურებელი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კალათბურთელებს.

სსრკ-ეგვიპტე

16 ოქტომბერს მოსკოვში, სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში მოეწყო საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის სპორტსმენთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში.

ყველაზე ხანმოკლე გამოდგა მძიმე წონის მოჭიდავეთა ბრძოლა. ეგვიპტის ჩემპიონმა მოჰამედ ამირ ხალილმა მესამე წუთზე დამარცხება განიცადა ალექსანდრე მაზურისაგან. 9 წუთში სუფთა გამარჯვება მოიპოვა ანატოლი ბარდიბახინმა (სსრკ) ეგვიპტის ჩემპიონთან მოჰამედ აბდელ ჰამიდ ელვარდთან შეხვედრაში. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის პრიზიორი მოჰამედ ჰასან მუსე (ეგვიპტე) ორივე ბეჭზე დასცა გივი კარტოზიამ (სსრკ). დანარჩენ შეხვედრებში საბჭოთა მოჭიდავეებმა გამარჯვება მოიპოვეს ქულებით.

საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის მოჭიდავეთა შეხვედრის ანგარიშია — 8:0 საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

ხელზე დაკიდებითი გდება

ტექსტი და კინოგრამა
ი. ალიხანოვისა

















ჯერ კიდევ 15 წლის წინ ეს ფანდი — ხელზე დაკიდებითი გდება არავინ არ იცოდა. იგი დაამუშავეს და პრაქტიკაში შემოიტანეს საბჭოთა მოჭიდავეებმა.

ფანდი სრულდება შემდეგნაირად (სიადვილისათვის გავარჩიოთ მისი შესრულება მარცხენა მხარეს):

მოჭიდავე, რომელზეც წარმოებს შეტევა, საწყის მდგომარეობაში მარცხენა დგომშია (მარცხენა ფეხი მარჯვენის წინ აქვს). შემტევი მოჭიდავე თავის მარცხენა ფეხს დგამს მოწინააღმდეგის მარჯვენა ფეხის წვერთან ახლოს და ერთდროულად მარცხენა ხელით უჭირავს მისი მარჯვენა ხელი იღლიის ქვეშ (კადრი № 1).

შემტევ მოჭიდავეს თავის მარჯვენა, უკან მდგარი ფეხი გადააქვს წინ, მოწინააღმდეგის მარჯვენა ფეხის წვერთან, ე. ი. არსებითად, თავის ფეხებს ერთად დგამს და ერთდროულად მარჯვენა ხელის იდაყვში მოხრით მოწინააღმდეგეს მოავლებს მხარში. ამასთან, ფანდის ჩატარების დასაწყისიდანვე, როგორც კი უკან მდგარი ფეხი დაიწყებს წინ მოძრაობას და შემტევი მოჭიდავე კარგავს საყრდენს უკან, იგი იწყებს ვარდნას ისე, თითქოს დადგომა უნდა ხიდურზე, თავით მეტოქის საწინააღმდეგო ფეხის წვერთან (კადრი № 2-3).

ამრიგად, შემტევი მოჭიდავე დაეკიდება მოწინააღმდეგის ხელს და თავისი ვარდნის გზის მეორე ნახევარში იწყებს ბრუნს მარცხნივ, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იგი მოწინააღმდეგის მიმართ მარჯვენა გვერდით იმყოფება (კადრი № 4).

ხალიჩაზე დაცემისას შემტევი მოჭიდავე განაგრძობს ბრუნს და მხრის ზემოდან თავისკენ მოწინააღმდეგის ჩავლებულ ხელს, გადააგდებს მეტოქის თავის ზურგს ზემოდან (კადრი № 5) და აყენებს მას ხიდურზე (კადრი № 6).

იმ შემთხვევაში, თუ ვარდნისას მოწინააღმდეგის ხელი ასხლტება მხრიდან კისერზე (კადრი № 7) და მისი გადაჭიმვა აღარ შეიძლება, შემტევი მოჭიდავე ვარდნის დამთავრებისას მარცხენა ხელით მოავლებს მოწინააღმდეგეს ტანზე, გამოიტანს თავს მისი მხრის ქვემოდან და დააკავებს მეტოქეს ჩოქბჯენში.

ამ ფანდის შესასწავლად აუცილებელია მოჭიდავემ იცოდეს თავისუფლად ვარდნა. ამ მიზნით საჭიროა კედელთან დადგომა ისე, რომ მარჯვენა ფეხი იყოს მის კედესთან, ხოლო მარცხენა, ერთი ნაბიჯით წინ. მარჯვენა ფეხის მარცხენასთან გადადგმით ვარდნა უნდა მოხდეს ზურგით კედლისკენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ვარდნა დაწყებულ იქნას მაშინვე, როგორც კი მოცილებულ იქნება საყრდენი უკან (უკან მდგარი ფეხი).

მეორე ვარჯიში ტარდება წყვილებთან და მდგომარეობს შემდეგში. შემსწავლელი ორივე ფეხს ერთად დგამს, მოტრიალდება მარჯვენა მხრით მოწინააღმდეგის მიმართ მის მარჯვენა ფეხთან და ჩაავლებს მარჯვენა ხელში, როგორც ეს საჭიროა ფანდის შესრულებისას. ამის შემდეგ იგი გამართული ტანით ვარდება პარტნიორის ტანის გასწვრივ მის მარცხენა ფეხთან.

მესამე ვარჯიში მეორისაგან განსხვავდება იმით, რომ ვარდნის დროს შემსწავლელი მიიღებს დავალებას შეეცადოს დადგეს ხიდურზე მოწინააღმდეგის მარცხენა ფეხთან. ამ შემთხვევაში იგი ხიდურზე მაინც ვერ დადგება, ვინაიდან იგი უნებურად მოტრიალდება მარცხნივ სანამ ხალიჩაზე დავარდება.

მეოთხე ვარჯიში — მთელი ფანდის ჩატარება სტატიკური საწყისი მდგომარეობიდან, შემდეგ ფანდის შესწავლა გრძელდება მოძრაობაში.

ფეხბურთელის ტაქტიკური ოსტატობის შესახებ

◆

ა. გალპერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

◆

ბურთის მოძრაობის უმოკლესი გზის პოვნა. ტაქტიკური ჩანაფიქრის შესრულებისას უნდა მოძებნილ იქნას ბურთის მოძრაობის უმოკლესი გზა. ტაქტიკის ეს ფრიად მნიშვნელოვანი პირობა უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ ბურთის გადაცემის ყველა შესაძლებელი გზიდან ყოველ ცალკეულ სიტუაციაში უნდა ავირჩიოთ ტაქტიკურად უმოკლესი გზა. შეიძლება ბურთის გადაცემა უკან, საკუთარი კარისაკენ ყველაზე მოკლე ტაქტიკური გზის ნაწილი იყოს განსაზღვრულ კომბინაციაში.

მცველის გადანაცვლება. ტაქტიკური კომბინაციების ერთერთი მთავარი მიზანი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ აიძულო მცველი გადაინაცვლოს თავისი ადგილიდან და ღიად დატოვოს მოედნის განსაზღვრული ფართობი. ხშირად ერთი მცველის გადანაცვლებისას ღიად დარჩენილ გასასვლელს დაუყოვნებლივ კეტავს მეორე მცველი — ესაა დაზღვევა. ამ შემთხვევაში კომბინაციის გაგრძელება უნდა მოძებნილ იქნას მეორე მცველის მიერ დატოვებულ ზონაში.

თავისი ზონიდან მცველის გადანაცვლების ყველაზე მარტივი ხერხია თავდამსხმელის წასვლა თავისი ადგილიდან, მაგრამ ეს შესაძლებელია მაშინ, თუ მცველი ბრმად თან დაჰყვება მიჩნეულ მოთამაშეს. მცველის გადანაცვლება შეიძლება თამაშის ცალკეულ უბნებზე მოთამაშეთა რიცხობრივი სიჭარბის საშუალებით. როცა მცველის წინაშე ორი თავდამსხმელია, მისი პარტნიორი იძულებულია დასახმარებლად გადმოვიდეს გაორმაგებული თავდამსხმელის ზონაში და დატოვოს თავისი ადგილი. სწორედ ეს ადგილი უნდა იქნას გამოყენებული თავდამსხმელთა მიერ.

მცველის გადანაცვლებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი გადაცემა, როცა ბურთი პარტნიორს ზუსტად კი არ ეძლევა, არამედ ოდნავ გვერდზე. თავდამსხმელი ბურთისაკენ გაემურება, მას მიჰყვება მცველიც და ზონა რჩება ღიად.

ტაქტიკურ კომბინაციათა სიმარტივე. მრავალსვლიანი, რთული კომბინაციები ზოგჯერ მოწინააღმდეგისათვის ისე რთული არაა, როგორც შემსრულებელთათვის. კომბინაცია შესასრულებლად რაც შეიძლება მარტივი უნდა იყოს, მაგრამ არა პრიმიტიული.

ინიციატივა თამაშში. თამაშის მსვლელობაში ინიციატივა გამოიხატება იმაში რომ გუნდი ამ დროს უმეტესად შემტევ კომბინაციებს ახორციელებს, მეორე გუნდს კი უხდება ამ კომბინაციების მოგერიება. გუნდების ძალთა თანაფარდობისას ინიციატივას მიაღწევს ის გუნდი, რომელიც მოედნის ცენტრალურ ზონას დაეუფლება. ესაა საკვანძო უბანი, სადაც ძლიერ ხშირად წარმოიქმნება და იშლება შეტევები.

თამაშში წარმოებს ბრძოლა ინიციატივის დაუფლებისათვის. იგი შეიძლება ერთი გუნდიდან მეორის ხელში გადავიდეს, მან შეიძლება მოიმატოს, დაიკლოს, იგი შეიძლება დაკარგულ იქნას დროებით ან სრულიადაც.

მოედნის ცენტრალური ზონის „ოკუპაცია“ არაა ერთად ერთი საშუალება ინიციატივის აღებისათვის ე. ი. თამაშში უპირატესობის მიღწევისათვის. ყოველი გულმოდგინე ტაქტიკური მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს სისტემატური იერიშის წარმოებას და ხელს უშლის მის ორგანიზებას მოწინააღმდეგის მხრივ, ემსახურება ინიციატივის ხელში აღების საქმეს.

დაზღვევა და ურთიერთშენაცვლება. ცნება დაზღვევა, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოთამაშეთა მოქმედებას დაცვითი ფუნქციების შესრულებას, როცა მცველები ერთმანეთს ეხმარებიან მოწინააღმდეგის სახიფათო გარღვევების შემთხვევაში. ამის მაგალითები ყოველ თამაშში მრავლადაა. არის ე. წ. ირიბი ანუ დიაგონალური დაცვის პრინციპი, რომლის დროსაც გზა დაზღვევისაკენ მცირდება. ამ ხერხს ის ნაკლი აქვს, რომ ერთერთი განაპირა მცველის კარის ხაზთან ახლოს ყოფნის გამო თითქმის გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელი „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

სამი მცველის ხაზი უკანასკნელ საყრდენს წარმოადგენს გუნდისათვის და შემტევი გუნდის მოთამაშეთა მიერ მისთვის გვერდის ავლა ძლიერ სახიფათოა, ამიტომ მცველებმა აუცილებლად უნდა დაამუშაონ ურთიერთდაზღვევა და მიშველება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მოთამაშე ტოვებს თავის სამოქმედო ზონას, ის უნდა „შევსებულ“ იქნას შესაბამისი პარტნიორით, თუნდაც თავდამსხმელს საამისოდ დაჭირდეს მცველის ფუნქციების შესრულება. ასეთ ურთიერთშენაცვლებას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და საჭიროა გააზრებულად, დაგეგმილად ხდებოდეს. ეს განსაკუთრებით ეხება შუამარბებს და ნახევარმცველებს. საერთოდ, ურთიერთშენაცვლება შეიძლება მოხდეს მოედნის ყოველ ადგილზე სხვადასხვა მოთამაშეთა შორის.

შეტევისა და დაცვის საკვანძო ადგილების შესახებ. შეტევა ყოველთვის უნდა აიგოს იმ ანგარიშით, რომ იგი წარიმართოს ნაკლებ საწინააღმდეგო მოქმედებათა გზით, ე. ი. იქ, სადაც ადგილი ნაკლებადაა დაცული. დაცვის ორგანიზაციისას ეს კეთდება პირიქით — ძლიერი დაცვის ხაზი კეთდება იქ, სადაც მოსალოდნელია ძლიერი შეტევა. დაცვაში სუსტი უბნისა და შეტევაში ძლიერის გარკვევა ხდება წინასწარი ანალიზით, როცა ეს შესაძლებელია, ხოლო ოპერატიული ანალიზი თვით თამაშის მსვლელობაში აუცილებელია.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 83.

სტალინირის ჩემპიონატი

სტალინირის 1954 წლის პირველობაში 12 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბრძოლა შეჯიბრებაში მეტად საინტერესოდ წარიმართა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა ნიჭიერმა მოჭადრაკემ თ. კოზაევმა, რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა. მას ქულანახევრით ჩამორჩნენ კ. ჭარსელაძე და ახალგაზრდა მოჭადრაკე ს. კოჩიევი, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

შეჯიბრებამ ორგანიზებულად ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ადგილობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობას თავს არიდებს პირველთანრიგოსანი ო. გასიევი.

ვ. მელქოევი

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთი

ბუქარესტში ჯულესტის სტადიონზე ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება კრივში ბუქარესტისა და ფინეთის მეორე ნაკრებ გუნდებს შორის. სტუმრების გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ფინეთის 1954 წლის ჩემპიონები მ. ბეკმანი და ა. კოკონენი, გასული წლის ჩემპიონი პ. ხირკონენი და სხვები.

შეხვედრა ჩატარდა რუმინელთა აშკარა უპირატესობით და მათივე გამარჯვებით (9 : 1) დამთავრდა. ერთადერთი შეხვედრა ფინელებმა მოიგეს მსუბუქ წონაში.

• • •

ბურჟუაზიულ-მემამულურ რუმინეთში სპორტულ სროლას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მთელს ქვეყანაში მხოლოდ ერთი სასროლეთი იყო ათი დაზგითა და ისიც უვარგისი, ამიტომაც სპორტსმენთა შედეგი ყოველთვის დაბალი იყო. საბჭოთა ჯარების მიერ რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ბუქარესტის „დინამოს“ ფიზკულტურელთა პარკში მოეწყო შესანიშნავი სასროლეთი, რომელიც ერთერთი საუკეთესოთაგანია ევროპაში. ასეთივე ბაზები მოეწყო აგრეთვე ბენიასა-ტურჯნის ტყეში ბუქარესტის მახლობლად, არადში, კლუჟში, ტიმიშოარაში და სხვა ქალაქებში. ყველა ისინი საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი. გასულ წელს ჩატარებულ შეჯიბრებებში უკვე 30 ათასმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

მთავრობის ზრუნვის შედეგად რუმინელმა სპორტსმენებმა უკვე დაამყარეს მრავალი რესპუბლიკური რეკორდი.

პოლონეთი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ვარშავაში 70 ათას ადგილიანი ახალი სტადიონის მშენებლობის შესახებ. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალი წლის მეორე ნახევარში.

ალბანეთი

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მოწვევით ალბანეთში ჩავიდნენ რუმინეთის ფეხბურთელები. ლურესის ნავსადგურში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქ. ტირანის სპორტულმა საზოგადოებრიობამ.

შეჯიბრებაში ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს რუმინელებმა. ალბანელებისათვის ეს იყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა.

ერევნის სპორტულ მოედნებზე

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადა

გულთბილად, მეგობრულად მიგვიღო მოძმე სომხეთის დედაქალაქმა — ერევანმა. ყვავილებით, სიმღერებით შეგვხვდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი სპორტსმენები. ქალაქ გარეთ, ეჩმიაძინის მწვანით მოსილ აგარაკზე მოგვათავსეს...

16 ოქტომბერს, საღამოს, ბრძოლაში მიმავალ ლაშქარივით ისვენებდა საქართველოს სპორტული დელეგაცია, მხოლოდ რამდენიმე მწვრთნელი და პრესის მუშაკი ვისხედით აივანზე და პროგნოზები გამოგვყავდა, ვმსჯელობდით; როდესაც რომელიმე ჩვენგანი დაუფიქრებლად ხმას აუწევდა, წამსვე ვაჩერებდით:

— ჩუმად, სძინავთ, ისვენებენ...

ერევნის სტადიონის ტრიბუნებიდან სპორტის მოყვარულები მხურვალედ მიესალმნენ პარადის მონაწილეებს... მზეზე ელვარებდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის დროშები. მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ სამი მოძმე რესპუბლიკის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, მოჭიდავეები, მოკრივეები... ამ გრანდიოზულ შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. შეკოიანი.

ალამი აღიმართა! ბრძოლა დაიწყო...

დამბაჩა გავარდა. სპორტსმენები მოწყდნენ სტარტს. პირველი ათი მეტრი თანაბრად გაირბინეს, შემდეგ უცებ წინ გავარდნენ ანთაძე და გეგეშიძე. 50 მეტრის შემდეგ კი მათ შორის გაიმართა ბრძოლა. ანთაძემ მკერდით მიასწრო გეგეშიძეს და პირველი ადგილი მოიპოვა (11,1). ქალებში ერევნელმა ოსკანიანმა გაიმარჯვა ქოჩლაძესთან ბრძოლაში, მაგრამ მეორე გარბენში უკეთესი დრო აჩვენა თბილისელმა სუვერნიევამ და მასვე მიენიჭა პირველი ადგილი. 400 მეტრზე რბენაში ერევნელმა კოცკინმა თავიდანვე გაასწრო მოწინააღმდეგეებს და პირველი ადგილი მოიპოვა, მეორეზეა თბილისელი ტრაპაიძე.

შეჯიბრებაზე თავი ისახელა კარგი მომავლის მქონე მძლეოსანმა ლ. სესაძემ. მან ყველა მეტოქეს აჯობა. ბირთვი ჰკრა 12 მეტრსა და 84 სმ-ზე. პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს აზერბაიჯანელმა მადათოვმა. იგი სიგრძეზე 6 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი წიკლაური (6,68 მ). ნ. დუმბაძემ ბადრო ტყორცნა 48 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე და გაიმარჯვა.

მძლეოსნობაში ამ დღის პროგრამა ამოიწურა. „სპარტაკის" სპორტდარბაზისაკენ გავეშურეთ. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძალოსნები. ერევნელ სარიბეკიანსა და თბილისელ აჯუნცევს შორის გაიმარჯვა პირველმა, ქვემსუბუქ წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ზ. ხანუკაშვილმა მოიპოვა პირველობა, მსუბუქში კი გამარჯვებული კვლავ სომხეთის წარმომადგენელი არუთინიანი გამოვიდა.

ქვესაშუალო წონაში დიდ წარმატებას მიაღწია ერევნელმა აკოპიანცმა. მან, გარდა იმისა, რომ პირველი ადგილი დაიკავა, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში (128 კგ. 300 გრ.). საშუალო წონაში შივცმა (თბილისი) დაამარცხა უახლოესი მეტოქე ერევნელი ჩილინგარიანი და ორი რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა. აჭიმა რა 117,1 კგ. მოხსნა 1938 წელს ა. აბაშმაძის მიერ დამყარებული რეკორდი. შემდეგ წონებში აშკარა იყო საქართველოს ძალოსანთა უპირატესობა. ქვემძიმე წონაში გ. კოშაძემ აჭიმა 119,8 კილოგრამი. ეს ახალი რესპუბლიკური რეკორდია. მასვე მიენიჭა პირველობა. ი. ქართველიშვილმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 400 კილოგრამი, ხოლო აჭიმა 130,7 კილოგრამი. ორივეს შედეგი რესპუბლიკის ახალი რეკორდია.

მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები და გამოირკვა, რომ საქართველოსა და სომხეთს თანაბარი ქულები (11-11) დაუგროვებიათ, მაგრამ საქართველოს გუნდიდან ოთხმა მოიპოვა პირველი ადგილი (ხანუკაშვილი, შივცი, კოშაძე და ქართველიშვილი), ამიტომ პირველი ადგილიც მას მიეკუთვნა.

პირველ დღეს კალათბურთელთა შეჯიბრებას ვერ დავესწარით, საღამოს მწვრთნელმა მ. კეკელიძემ გვაცნობა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ქალთა გუნდების შეხვედრა პირველის გამარჯვებით (66:38) დამთავრებულა, ხოლო სომხეთის ვაჟთა გუნდს დაუმარცხებია აზერბაიჯანის გუნდი, ანგარიშით 86:53. სპარტაკიადის მეორე დღეს თბილისელი სპორტის მოყვარულები (რომელთა რიცხვი აქ საკმაოდ მოზრდილია) კალათბურთის მოედანზე მოვკალათდით, აზერბაიჯანისა და საქართველოს კალათბურთელთა შეხვედრა გვაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, ბრძოლა საკმაოდ მწვავედ წარიმართა. პირველი ნახევარი 24:24 დამთავრდა, მეორე ნახევარი კი 53:53. დაინიშნა დამატებითი დრო. აქ კი საქართველოს გუნდმა შეძლო ინიციატივის ხელში აღება და შეხვედრა მოიგო —59:56. სომხეთის ქალთა გუნდმა (51:50) დაამარცხა აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

კრივი და ჭიდაობა ცირკში ტარდება. პირველ დღეს საქართველოს წარმომადგენლები ისვენებდნენ. ძმები დარბაისლები, მიქაელიანი, ციმაკურიძე, კანდელაკი, ცალქალამანიძე და სხვები პარტერში ისხდნენ და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სომხეთისა და აზერბაიჯანის ფალავნების ორთაბრძოლას. კლასიკურ ჭიდაობაში მათი შეჯიბრება ფრედ (4:4) დამთავრდა, მაგრამ, რადგანაც მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრაში სომხეთის წარმომადგენელმა სუფთად მოიგო, გამარჯვებაც მასპინძლებს მიაკუთვნეს. კრივშიც სომხეთის სპორტსმენებმა (8 : 2) გაიმარჯვეს აზერბაიჯანელებზე.

დიდი წარმატებით გამოდიან ჩვენი ცხენოსნები და ხუთჭიდელები. მხედარმა მ. ძიძიგურმა პირველი ადგილი დაიკავა უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში.

შეჯიბრება გრძელდება...

ზ. ჯაფარიძე,

ერევანი. **ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

• • •

სურათებზე: მარცხნიდან — დროშის აღმართვა, ანთაძე ფინიშთან, მ. ძიძიგური დაბრკოლებათა გადალახვისას, სესაძე ჰკრავს ბირთვს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

გათამაშების საბოლოო ცხრილი

„ა" კლასი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	24	15	5	4	44:20	35
„სპარტაკი" მ.	24	14	3	7	49:26	31
„სპარტაკი" მნ.	24	12	6	6	29:23	30
„შრ. რეზერვ".	24	8	10	6	29:25	26
„დინამო" კ.	24	8	10	6	31:29	26
ცდსა	24	8	8	8	30:29	24
„ზენიტი"	24	8	7	9	27:26	23
„დინამო" თბ.	24	9	5	10	38:47	23
„ტორპედო" მ.	24	8	6	10	34:34	22
„ლოკომოტ." მ.	24	7	7	10	21:23	21
„კრ. სოვეტ".	24	7	6	11	20:28	20
„ლოკომოტ". ხ.	24	6	5	13	19:39	17
„ტორპედო" გ.	24	3	8	13	17:39	14

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

განვლილ კვირას, 17 ოქტომბერს დამთავრდა სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ დღეს შედგა გათამაშების უკანასკნელი მატჩი მოსკოვის გუნდებს — „სპარტაკსა" და „ლოკომოტივს" შორის.

სპარტაკელებმა მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 5:2.

• • •

„ტორპედო" (მოსკოვი) — ფინეთი (ნაკრები)

17 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსა" და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ტორპედოელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.

ფეხბურთის მოედნებზე

გურჯაანი. დამთავრდა გურჯაანის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის 11 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გურჯაანის სპორტსკოლისა და საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვეს სპორტსკოლის ფეხბურთელებმა.

თ. გოგიაშვილი

• • •

ბათუმი. ქალაქის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა ფაბრიციუსის სახელობის კლუბის კოლექტივი. მეორე ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა „ტრუდმა".

ზ. თარგამაძე

• • •

ზესტაფონი. 10 გუნდი მონაწილეობდა ზესტაფონის რაიონის პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც ორ წრედ ჩატარდა. შეჯიბრება წაუგებლად დაამთავრა და რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ზესტაფონის „მეტალურგმა".

ა. ფოცხვერაშვილი

• • •

ახმეტის რაიონის პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობდა შვიდი კოლექტივი. კარგი ტაქტიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა ფიჩხოვანის კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდმა, რომელმაც ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოიგო და პირველ ადგილზე გამოვიდა. მეორე ადგილზეა ქისტაურელი ფეხბურთელები.

ქ. გოგოჭური

გამოფენას მიუძღვნეს

თელავის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" მიერ წარმოდგენილ დიაგრამებს, ვიმპელებსა და სიგელებს.

გამოფენას მიეძღვნა შეჯიბრება ცხენოსნობაში 1 და 3,5 კმ-ზე. დოღში მონაწილეობა მიიღეს ნაფარეულის, თეთრიწყლების, რუისპირისა და ლაფანყურის კოლმეურნე ცხენოსნებმა. ერთ კილომეტრზე დოღში გამარჯვება წილად ხვდა ა. გოგოჭურს, ხოლო 3,5 კილომეტრზე — ხ. არაბულს (ორივე სოფ. თეთრიწყლების დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობიდან).

გამარჯვებულებს გადაეცათ რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის სიგელები და ფასიანი ჯილდოები.

ა. სახიევი

გათამაშების ცხრილები

„ბ" კლასი

პირველი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ერევანი)	21	13	8	0	33:8	34
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	21	13	7	1	58:22	33
ოფიც. სახლი (თბილისი)	22	12	5	5	47:22	29
„ლოკომოტივი" (ალმა-ატა)	22	11	7	4	25:13	29
ქ. ლენინაბადი	22	10	5	7	27:27	25
„ავანგარდი" (სვერდლოსკი)	22	8	5	9	24:30	21
„ავანგარდი" (ჩელიაბინსკი)	22	7	7	8	31:37	21
„სპარტაკი" (აშხაბადი)	21	6	6	9	21:27	18
ოფიც. სახლი (სვერდლოვსკი)	22	5	3	14	20:34	13
„ისკრა" (ფრუნზე)	22	4	5	13	20:39	13
„სპარტაკი" (ტაშკენტი)	21	3	6	12	15:31	12
ქ. მოლოტოვი	22	5	2	15	16:47	12

• • •

მეორე ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზენიტი" (მოსკოვი)	22	14	5	3	31:14	33
„სპარტაკი" (ვილნიუსი)	22	13	6	3	33:13	32
„ხიმიკი" (მოსკოვი)	22	12	5	5	36:21	29
„კრ. ზნამია" (ივანოვო)	22	7	10	5	20:15	24
„სპარტაკი" (კალინინი)	22	8	8	6	32:27	24
„პიშჩევიკი" (მინსკი)	22	6	9	7	17:16	21
„დაუგავა" (რიგა)	22	9	3	10	20:24	21
„ენერგია" (სარატოვი)	22	8	5	9	21:30	21
ქ. ვორონეჟი	22	7	3	12	21:29	17
„შახტიორი" (მოსბასი)	22	6	3	13	22:31	15
„კალევი" (ტალინი)	22	6	3	13	18:33	15
„კრ. ზვეზდა" (პეტროზავ.)	22	2	8	12	11:29	12

• • •

მესამე ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი" (სტალინო)	22	17	4	1	56:16	38
„ტორპედო" (როსტოვი)	22	11	7	4	35:20	29
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	22	11	5	6	34:24	27
„მეტალურგი" (დნეპროპეტ.)	22	8	9	5	30:27	25
„სპარტაკი" (უჟგოროდი)	21	9	4	8	35:33	22
ოფიც. სახლი (ლვოვი)	22	7	6	9	24:32	20
„მეტალურგი" (ოდესა)	22	8	4	10	37:42	20
ოფიც. სახლი (სევასტოპოლი)	22	5	8	9	19:31	18
„ტორპედო" (სტალინგრადი)	20	7	3	10	28:36	17
„ნეფტიანიკი" (კრასნოდარი)	22	6	5	11	29:41	17
ოფიც. სახლი (კიევი)	22	6	4	12	34:45	16
„ბურევესტნიკი" (კიშინიოვი)	21	2	7	12	25:39	11

რუსული ჭადრაკის გენია

„ჭადრაკი ჩემთვის თამაში კი არაა, ხელოვნებაა. დიახ, მე ვთვლი ჭადრაკს ხელოვნებად და ჩემს თავზე ვიღებ ყველა იმ ვალდებულებას, რასაც იგი აკისრებს მის მიმდევრებს", — წერდა გენიალური რუსი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ალექსანდრე ალიოხინი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საჭადრაკო ხელოვნების განვითარების საქმეს შესწირა.

ალექსანდრე ალიოხინი დაიბადა 1892 წელს მოსკოვში, არისტოკრატულ ოჯახში. ნიჭიერი ბავშვი ჭადრაკს 8 წლის ასაკში გაეცნო. „უკვე მაშინ ვიგრძენი ჭადრაკისადმი დაუძლეველი მისწრაფება". — იგონებს ალიოხინი. მისი პირველი მასწავლებლები და პარტნიორები დედა და უფროსი ძმა იყვნენ. მცირეწლოვანი ალიოხინი გატაცებით კითხულობდა საჭადრაკო ლიტერატურას, ეცნობოდა გამოჩენილი გროსმაისტერების პარტიებს. მას განსაკუთრებით მოსწონდა მ. ჩიგორინის კომბინაციები. 12 წლის ალიოხინი უკვე თამამად თამაშობდა დაფაზე დაუხედავად.

ჭაბუკი ალიოხინი მრავალ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. 1909 წელს პეტერბურგში გამართულ მ. ჩიგორინის ხსოვნის აღსანიშნავ სრულიად რუსეთის ჭადრაკის მოყვარულთა ტურნირში მას პირველი ადგილის დაკავებისათვის ოსტატის სახელი მიანიჭეს, რამაც დიდად გაახარა ნიჭიერი ახალგაზრდა. ამას მოჰყვა კარლსბადის, სტოკჰოლმის, ვილნოს, შევენინგენის საერთაშორისო ტურნირებში საგულისხმო გამარჯვებები.

1914 წელს პეტერბურგელმა მეცენატებმა გადაწყვიტეს გროსმაისტერთა ტურნირის გამართვა. შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონი ლასკერი, სახელგანთქმული გროსმაისტერები კაპაბლანკა, მარშალი, ტარაში, ბლეკბერნი, რუბინშტეინი და სხვები. რუსეთიდან მონაწილეთა გამოსავლინებლად ჩატარდა უძლიერეს რუს მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც გაიმარჯვეს ალიოხინმა და ნიმცოვიჩმა.

1920 წელს პირველად გაიმართა სრულიად რუსეთის საჭადრაკო ოლიმპიადა, როგორც მაშინ უწოდებდნენ საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონატს. ალიოხინმა ბრწყინვალედ დაამთავრა ტურნირი — მან რუსეთის პირველი ჩემპიონის სახელი დაიმსახურა.

ალიოხინს არ ასვენებდა სურვილი გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი. ამისათვის იგი გულმოდგინედ ემზადებოდა, მონაწილეობს საზღვარგარეთ ჩატარებულ ტურნირებში.

ალიოხინის გამარჯვებების მნიშვნელობა პარიზისა და ბერლინის თეთრგვარდიელმა ემიგრანტებმაც თავისებურად შეაფასეს. მათ ყველა ხერხი გამოიყენეს, რათა ალიოხინი საზღვარგარეთ დარჩენილიყო. ალიოხინი პოლიტიკურად უპრინციპო ადამიანი აღმოჩნდა. გამარჯვებათა დიდებით თავბრუდახვეულმა ალიოხინმა გადაწყვიტა არ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში.

ალიოხინი პარიზში დასახლდა. ჭადრაკში გამოსვლებთან ერთად იგი სორბონის უნივერსიტეტში დისერტაციას იცავს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე. ლონდონის, ჰასტინგსის, ნიუ-იორკის, პარიზის, ბადენ-ბადენის საერთაშორისო ტურნირებში ალიოხინმა იმდენად დიდი სპორტული და შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა, რომ საჭადრაკო პრესა ერთხმად აღნიშნავდა: „ლასკერის თამაში — წარსულისაა, კაპაბლანკას — თანამედროვეა, ხოლო ალიოხინის — მომავლისაა". საზოგადოებრივი აზრი ალიოხინის მხარეს იკავებდა. ჭადრაკის მესვეურები კაპაბლანკასთან მოითხოვდნენ მატჩზე თანხმობას. ეს უკანასკნელი კი 10.000 დოლარის კედლის იქით იმალებოდა. კაპაბლანკაც გრძნობდა ალიოხინის გამარჯვებათა ძალას და წერდა: „ალიოხინის წარმატებები შთამაგონებელ სანახაობას წარმოადგენს". შემდეგ აღნიშნავდა: „იგი სლავური ერის წარმომადგენელია, სიმაღლით ექვს ფუტზე მეტისაა, წონით 200 ინგლისურ გირვანქამდეა, ქერა და ცისფერთვალება. როგორც კი სატურნირო დარბაზში ალიოხინი გამოჩნდება, აუცილებლად თვალში გვეცემათ მისი მიმზიდველი გარეგნობა. იგი თავისუფლად მეტყველებს ექვს ენაზე, აქვს სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და საერთო განათლებით ჩვეულებრივ ადამიანზე მაღლა დგას. ალიოხინს აქვს შესანიშნავი საჭადრაკო მეხსიერება, რომელიც კი ოდესმე არსებობდა. მას ზეპირად ახსოვს ოსტატების მიერ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე გათამაშებული პარტიები". მიუხედავად ალიოხინის ასეთი ქებისა, კაპაბლანკა დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში.



ა. ალიოხინი

★

1927 წელს ბუენოს-აირესში დაიწყო ალიოხინისა და კაპაბლანკას ორთაბრძოლა. 13 წლის მანძილზე ემზადებოდა ალიოხინი ამ მატჩისათვის. პირველი პარტიის მოგებით მან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მეტოქეს. კაპაბლანკა შეუპოვრად თამაშობდა, ერთხელ კიდეც გაათანაბრა მატჩის ანგარიში. მაგრამ ალიოხინი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. ორთაბრძოლის პირობაში ნათქვამი იყო, რომ გამარჯვებული იქნებოდა ის, ვინც ადრე მოიგებდა ექვს პარტიას. ამიტომ მხოლოდ 34-ე პარტიაში გამარჯვებით (18,5 : 15,5) მოიგო ალიოხინმა მატჩი და გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

1930-1934 წლებში ალიოხინი განუმეორებელ წარმატებებს აღწევს. მაგალითად, ბლედის 1931 წლის საერთაშორისო ტურნირში ალიოხინი 5,5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე გამოსულს.

მაგრამ ამ პერიოდში ალიოხინი მტკივნეულად განიცდის იმ დიდ შეცდომას, რომელიც მან სამშობლოს დატოვებით დაუშვა. მას ესმის საბჭოთა ქვეყნის მიღწევების ამბავი. იცის, რომ საბჭოთა კავშირში მოჭადრაკეები ხალხის სიყვარულითა და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობენ.

ალიოხინს სურდა რუსეთში დაბრუნება, მაგრამ იცოდა თუ რა ძნელი იყო სამშობლოს წინაშე დაკარგული ნდობის აღდგენა. ამ პერიოდში იგი შვებას ალკოჰოლში პოულობს. ალიოხინი გალოთდა, მორალურად დაეცა. თამაშის უწინდელი ძალაც დაჰკარგა. ამით ისარგებლეს ჰოლანდიის ჭადრაკის საქმოსნებმა და 1935 წელს ალიოხინი მსოფლიო პირველობაზე ათამაშეს მ. ეივესთან. ამ უთანასწორო ბრძოლის დროს ალიოხინი განაგრძობდა სმას, ყოველ ტურზე მთვრალი მოდიოდა. ამას გარდა, იგი მისტიციზმში გადაეშვა. მისი სახლი კატებითა და ძაღლებით იყო სავსე. ეივესთან მატჩის დროს მას ტურზე მოჰყავდა სიამის კატა სახელად „ჭადრაკი" და თამაშის წინ ჭადრაკის დაფას აყნოსვინებდა. ცხადია, ასეთი დეგრადაციის გზაზე დამდგარმა ალიოხინმა დაჰკარგა ჩემპიონობა.

ალიოხინს მხოლოდ საბჭოთა კავშირში დაბრუნებით შეეძლო მაღალი მორალური სულისკვეთების აღდგენა. „ალიოხინი, — იგონებს ფლორი, — ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე. ამას ხელი შეუშალა 1935 წელს ეივესთან გამართულმა მატჩმა. ალიოხინი ამბობდა, რომ მას უნდა მოსკოვში დაბრუნდეს როგორც მსოფლიო ჩემპიონი".

ამ სურვილით აღფრთოვანებული ალიოხინი ისევ ენერგიულად მუშაობს თავის თავზე და მონაწილეობს მრავალ შეჯიბრებაში. 1937 წელს ყოველმხრივ მომზადებული ალიოხინი ადვილად უგებს ეივეს მატჩ-რევანშს და იბრუნებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ჰოლანდიელ ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ ალიოხინმა სარკაზმით განუცხადა: „მე თქვენს ეივეს ორი წლით ვათხოვე მსოფლიო ჩემპიონობა".

1938 წელს ამსტერდამის გროსმაისტერთა ტურნირის დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა ალიოხინი მატჩზე გამოიწვია. ალიოხინმა თანხმობა განაცხადა, მხოლოდ მოითხოვა შეჯიბრება მოსკოვში გამართულიყო. საბჭოთა მთავრობამ ამაზე დასტური მისცა. მაგრამ დაწყებულმა მსოფლიო ომმა მოლაპარაკება მრავალი წლით გადადო.

ომის წლებში ალიოხინმა ბევრი უსიამოვნება განიცადა. იგი მოხვდა გესტაპოელთა ხელში და საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსების მუქარით იძულებული იყო ეთამაშა ნაცისტების სხვადასხვა ტურნირში. ფაშისტებმა ერთერთ გაზეთში ალიოხინის ხელმოწერით მოათავსეს პროფაშისტური წერილი ჭადრაკზე. ამ ალმაშფოთებელი შანტაჟის უარყოფა ალიოხინს ოკუპირებულ ევროპაში არ შეეძლო. ომის შემდეგ ამ წერილის გამო ეივე და ამერიკელი მოჭადრაკეები ალიოხინს ბრალს დებდნენ ნაცისტებთან თანამშრომლობაში და არც ერთ ტურნირში არ უშვებდნენ. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი, ჩამოერთმიათ ალიოხინისათვის მსოფლიო ჩემპიონობა და გაეთამაშებინათ იგი ეივესა და რეშევსკის შორის.

გალატაკებული, ყველას მიერ ათვალწუნებული, დავიწყებული ალიოხინი ომის შემდეგ პორტუგალიაში ცხოვრობს. იგი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის. ამ დროს წერილს ღებულობს მ. ბოტვინიკისაგან, რომელიც მას თხოვს მოლაპარაკების განახლებას. ალიოხინი აღფრთოვანებული შეეგება საბჭოთა ჩემპიონის წერილს. მას სამშობლოში დაბრუნების იმედი მიეცა. მაგრამ 1946 წლის 24 მარტში ალიოხინი გულის დამბლით მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი სავარძელში მოჰკვდა, როცა ჭადრაკის პარტიას არჩევდა.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ნახევარფინალური ტურნირები

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო დედაქალაქის 1955 წლის პირველობის შერჩევითი ოთხი ნახევარფინალური ტურნირი. ნახევარფინალის მეხუთე ჯგუფი მიმდინარეობს „დინამოს" საჭადრაკო კლუბში. შეჯიბრებებში მონაწილეობს პირველი და მეორე — თანრიგის 66 მოჭადრაკე, მათ შორის ა. ჯაკობია, თანრიგოსნები გ. მაჭავარიანი, შ. ინწკირველი, ი. ლოლუა, ო. ალიხანოვი, ს. გუგუნავა და სხვები.

ნახევარფინალების ორ-ორი გამარჯვებული დაიშვება დედაქალაქის ფინალურ ტურნირში.

ნახევარფინალს მთავარი მსაჯია ვ. ქარსელაძე.

წნორის იპოდრომზე

წნორის იპოდრომზე დამთავრდა სიღნაღის რაიონის კოლმეურნე ცხენოსანთა პირად-გუნდური პირველობა.

შეჯიბრების ალამი აღმართა რაიონის გასული წლის ჩემპიონმა რუსთაველის სახელობის წნორის კოლმეურნეობის ცხენოსანთა გუნდის კაპიტანმა ფ. მჭედლიშვილმა. შეჯიბრება დაიწყო დაბრკოლებათა ზოლის გადალახვით. ყველა დაბრკოლება შეუცდომლად დაძლია ფ. მჭედლიშვილმა და რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა. ცხენბურთში გამარჯვება წილად ხვდა რუსთაველის სახელობის წნორის კოლმეურნე ცხენოსნებს.

დოღში ორ კილომეტრზე გაიმარჯვა სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ა. მაჭარაშვილმა, რომელმაც მანძილი 2 წუთსა და 35 წამში დაფარა. ჩხვაში ყველას აჯობა ფ. მჭედლიშვილმა, ჯაბაში — ზ. მჭედლიშვილმა. ი. კუტიბაშვილის გამარჯვებით აღინიშნა შეჯიბრება ჯირითში.

მარულაში რვა კილომეტრზე რაიონის ჩემპიონი გახდა 14 წლის წნორელი მხედარი ვ. ბადალიშვილი.

ვ. გოზალიშვილი

• • •

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული წნორელი მხედრები.

ახალგაზრდული თამაშები

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე დამთავრდა ახალგაზრდული თამაშების ორი ეტაპი და დაიწყო მესამე — შემაჯამებელი ეტაპი, რომელიც კვირას, 17 ოქტომბერს „დინამოს" სტადიონზე მოეწყო.

საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრები ცურვაში. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მოსწავლე გოგონათა შორის გაიმარჯვა ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენელმა მ. არაქელოვამ, ვაჟთა შორის — ი. ჩოდრიშვილმა (სტალინის რაიონი).

საქართველოს რეკორდით აღინიშნა მოსწავლე ვაჟთა შეჯიბრება ამანათცურვაში 4×100-ზე, იგი დაამყარა სტალინის სახელობის რაიონის მოსწავლე ვაჟთა გუნდმა ი. ჩოდრიშვილის, გ. ხირკენის, ვ. სოკოლოვსკის და გ. ლეჟავას შემადგენლობით (4 : 36,8). გოგონათა შეჯიბრებაშიც სტალინის რაიონის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. მეორე ჯგუფში (წარმოება-დაწესებულებები) პირველობა მოიპოვეს 26 კომისრის რაიონის ფიზკულტურელებმა.

სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვეს მოსწავლეებმა ვ. ერმოვამ (სტალინის რაიონი), დ. გველესიანმა (კიროვის რაიონი). მეორე ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდა ა. გალდიანსახს (26 კომისრის რაიონი) და დ. გელაშვილს (ორჯონიკიძის რაიონი). ამანათრბენაში 4×100 პირველები იყვნენ სტალინის რაიონის გოგონათა და კიროვის რაიონის ჭაბუკთა გუნდები.

შეჯიბრება გრძელდება.



სურათზე: დ. გველესიანი ხტომის დროს.

სპორტული ქრონიკა

ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს საშუალო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყებიდანვე შეუდგნენ სპორტმოედნების მოწყობას. წრეხაზში მოეწყობა ძელი, ორძელი, ტრაპი და სხვა სპორტინვენტარი, ფრენბურთის მოედანი და სახტომი ორმოები. ბაზების მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა.

მ. ტორჩინავა.

• • •

თელავის საჭიდაო მოედანზე ჩატარდა რაიონის 1954 წლის პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

32 მოჭიდავედან რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: უმსუბუქეს წონაში შ. ჩაჩიძემ („დინამო"), მსუბუქ წონაში — მ. სეხნიაშვილმა („ბურევესტნიკი"), ქვემსუბუქ წონაში — ც. სოლომონიშვილმა („კოლმეურნე"), მსუბუქ წონაში — ი. ესიტაშვილმა („კოლმეურნე"), ქვესაშუალო წონაში — გ. კრვალიძემ („კოლმეურნე") და საშუალო წონაში — თ. გელდიაშვილმა (პედაგოგიური ინსტიტუტი).

ნ. ცირეკიძე

შეხვედრა ჩემპიონთან

ამას წინათ ზნაურში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი ნ. მეზვრიშვილი, რომელსაც შეხვედრა მოუწყვეს ბალთის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. ჩემპიონმა დაწვრილებით მოუთხრო საზღვარგარეთ მისი მოგზაურობის შესახებ.

ვ. მელქაძე

რედაქტორი **ი. უზულავა.**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას ფიზიკური აღზრდის თეორიის სპეციალობაზე. განცხადებები მიიღება 1954 წლის 30 ოქტომბრამდე. მიღების პირობების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში. მისამართი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. № 57.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ილიჭავაძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04683